მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2022 წელი, №6

ქურაშის მე-12 საუკუნის ოთხთავს ჩესტავრაცია ჩაუტარდება

ქურაშის მე-12 საუკუნის ოთხთავს რესტავრაცია ჩაუტარდება

მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის თემის სოფელ ქურაშში წმინდა გიორგის ტაძარში დაბრძანებულ მე-12 საუკუნის ხელნაწერ სახარებას - ქურაშის ოთხთავს, რესტავრაცია ჩაუტარდება. ეცერის თემის წარმომადგენლებსა და ეროვნულ არქივს შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა, რომლის ხელმომწერებიც, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, სოფლისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე, სვანეთის წარმომადგენლები - თეა წულუკიანი, სოზარ სუბარი და ვიტია ჯაფარიძე არიან. აქტის თანახმად, ოთხთავს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივში“ ჩაუტარდება სარესტავრაციო პროცედურები და 18 თვის შემდეგ, კვლავ ტაძარს დაუბრუნდება. ეს ქრისტიანული კულტურისთვის ფასეული ტექსტის რესტავრაციის უკვე მეორე მნიშვნელოვანი შემთხვევა იქნება, მას შემდეგ, რაც 2020-2021 წლებში რესტავრაცია წარმატებით ჩაუტარდა ლახამულის მე-12 საუკუნის ოთხთავს.

სოფელ ქურაშში წმინდა გიორგის ტაძრიდან მე-12 საუკუნის ოთხთავის გამობრძანებას, სიწმინდის მცველებსა და თემის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბუბა ლომუაშვილი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი და საქართველოს ეროვნული არქივის ხელმძღვანელი თეონა იაშვილი დაესწრნენ. ასევე, ოთხთავის გამობრძანებას ესწრებოდნენ ეცერის თემისა და სვანეთის გამორჩეულნი მკვიდრნი.

ქურაშის სახარებას აქამდე არასდროს დაუტოვებია ქურაში წმ. გიორგის ეკლესია; ის ადგილობრივების უდიდესი მოწიწებისა და ზრუნვის საგანია. მიუხედავად ამისა, ხელნაწერი ამჟამად საჭიროებს სრულ განახლებას თანამედროვე და მსოფლიოში დამკვიდრებული მეთოდების გამოყენებით. შესაბამისად,

მხარეებს შორის არსებული ნდობისა და საერთო მიზნის გათვალისწინებით, ხელნაწერ სახარებას დედაქალაქში ჩაუტარდება ყველა საჭირო სარესტავრაციო ღონისძიება, რათა ის კვლავ ღირსეულად შეინახოს სვანეთმა, საქართველოსთვის.

ეს უკვე მეორე პრეცედენტია. საქართველოს ისტორიაში პირველად, 2020 წლის 26 მაისს, მოხდა ლახამულის ოთხთავის ეროვნულ არქივში გადმობრძანება. უნიკალური ხელნაწერის რესტავრაცია 18 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ეროვნული არქივის შენობაში და მასზე საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის თანამშრომლები მუშაობდნენ. რესტავრირდა სახარების ეტრატის ფურცლები, რომლებზეც დატანილია სხვადასხვა შინაარსის 22 მინაწერი. ფურცლები დარბილდა, მოშორდა მიწის ნაწილაკები და სანთლის ნაღვენთები, აიკინძა ძველი წესით და მოთავსდა ტყავის ყდაში. რესტავრაციისას სახარების ძველი ჭედური ყდის ქვეშ აღმოჩნდა წმინდა გიორგის ხატი, რომელიც სახარებასთან და აღნიშნულ ყდასთან ერთად ლახამულაში დაბრუნდა. განახლებული ლახამულის ოთხთავის სვანეთში, წმინდა გიორგის ტაძარში საზეიმოდ დაბრუნება და დაბრძანება განსაკუთრებულ თარიღს - 2021 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულს, სიმბოლურად დაუკავშირდა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო

პროექტი „გაწიგნიანება„

დაიწყო პროექტ "გაწიგნიანების" პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სკოლების ახალი გამომცემლობითა და ამასთან თანამედროვე ლიტერატურით მომარაგებასაც.

დასაწყისისთვის შეირჩა მესტიის მუნიციპალიტეტის ბეჩოს თემის, სოფელ მაზერის საჯარო სკოლა. სკოლას გადაეცა 70 წიგნი (შერჩეული მხატვრული ლიტერატურა).

პროექტის მხარდამჭერები და პარტნიორები არიან–: გამომცემლობა დიოგენე, სულაკაურის გამომცემლობა, ქარჩხაძის გამომცემლობა, გამომცემლობა ინტელექტი და გამომცემლობა არტანუჯი.

მიშგოვ ლარდას და ფრანკლინის კლუბის ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი

„ჩვენი მთავარი მიზანი სვანეთში არაფორმალური განათლების დანერგვა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაა“, – ზემო სვანეთის სათემო ორგანიზაცია „მიშგოვ ლარდას“ მმართველი ბორდის თავმჯდომარე მარიამ მერლანი.

მიშგოვ ლარდა სვანურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც ჩემი ადგილი. ეს ორგანიზაცია 2020 წლის მარტში დაარსდა და იგი მთლიანად ორიენტირებულია ზემო სვანეთში მცხოვრებ ახალგაზრდებზე.

„სვანეთის ზოგიერთ მაღალმთიან სოფელში მოსწავლეებს უამრავი პრობლემა ექმნებათ. არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შესაბამისად, ბავშვები ვერ ახერხებენ გადაადგილებას და ვერც მესტიაში ჩამოსვლას. აქედან გამომდინარე, სკოლებში მოსწავლეების ნაკლებობაცა“, – ქეთი ხვიბლიანი, სვანეთის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის გიმნაზიაში სწავლობს და მიშგოვ ლარდას მიერ განხორციელებულ პროგრამაში იღებს მონაწილეობას.

როგორც ქეთი გვიყვება, არსებობს რეგიონები, სადაც კლასში მხოლოდ ერთი მოსწავლე ესწრება საგაკვეთილო პროცესს. ეს ფაქტი, თავის მხრივ, სხვა პრობლემის გამომწვევი ხდება. მასწავლებლები უარს ამბობენ სვანეთში ჩამოსვლაზე, ხოლო ადგილობრივ პედაგოგებს უწევთ 3-4 სკოლაში ერთდროულად იმუშავონ.

„გვინდა, რომ ამ პრობლემებზე, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწვდინოთ ხმა, მიშგოვ ლარდა კი ამაში ძალიან გვეხმარება. სვანი ახალგაზრდები მუდმივად ვცდილობთ უფრო და უფრო მეტი სიახლე დავნერგოთ რეგიონში. ამისათვის მნიშვნელოვან გზად მიგვაჩნია მსგავს პროექტებში მონაწილეობის მიღება და ცნობიერების ამაღლება, რათა მიღებული ცოდნა ჩვენს თანატოლებს გავუზიაროთ“, – ამბობს ქეთი.

აღსანიშნავია, რომ მიშგოვ ლარდა პანდემიის პერიოდში შეიქმნა და მოახერხა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება.

„ჩვენი მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსწავლეები ჩავრთოთ სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ აქტივობებში. მივცეთ მათ მოტივაცია და ზოგადი განათლება თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე“, – მარიამ მერლანი.

2020 წლის მარტში ორგანიზატორებმა ჩაატარეს საქველმოქმედო ღონისძიება #არდამივიწყო, რომლის ფარგლებშიც ზემო სვანეთის 10 მარტოხელა ხანდაზმულ ადამიანს დაეხმარნენ.

2021 წლის თებერვალში მესტიის მუნიციპალიტეტის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის გამოცხადდა სტატიების კონკურსი, თემაზე „ზემო სვანეთის ტურისტული პოტენციალი“. კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა სამი გამარჯვებული, რომელთაც გადასცეს ფულადი ჯილდო, ასევე National Geographic -მა ისინი 2019, 2020 და 2021 წლის ჟურნალების სრული კოლექციით დააჯილდოვა.

2021 წლის ივლისში „მიშგოვ ლარდამ“ გამოაცხადა ნახატების კონკურსი, თემაზე „მიშგუ შვანჩემი სვანეთი“. ნახატები შეაფასა და გამარჯვებულები გამოავლინა მხატვარმა და ილუსტრატორმა ნინო ჩაკვეტაძემ. კონკურსი ჩატარდა ორი ასაკობრივ კატეგორიაში 9-12 და 13-16.

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს უნივერსიტეტის დაფინანსებით და ფრანკლინის კლუბთან თანამშრომლობით მიშგოვ ლარდამ გამოაცხადა საგანმანათლებლო ბანაკი „ფრანკლინის აკადემია: სვანეთის ნაკადი“.

ეს არის ფრანკლინის კლუბის მიერ შემუშავებული პროგრამა. კლუბი დაფუძნდა 2021 წელს და მის გარშემო კლასიკური ლიბერალური იდეების მქონე ადამიანები გაერთიანდნენ. იურისტები, პროგრამისტები, მეცნიერები, საერთაშორისო მკვლევარები და სხვები.

კლუბი სამი ძირითადი მიმართულებით საქმიანობს. ერთი ეს არის სწავლება და განათლება, მეორე მედია აქტივობები, ხოლო მესამე კვლევა და კონკრეტული საკითხების ადვოკატირება.

ფრანკლინის აკადემიაც კლუბის საკვანძო პროექტია, რომელიც ეკონომიკით, პოლიტიკით, ადამიანის უფლებებით და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

წელს „ფრანკლინის აკადემია: სვანეთის ნაკადი“ უკვე მეორეჯერ გაიმართა. ბანაკი 14 ოქტომბერს დაიწყო და 21 ოქტომბერს დასრულდა. მონაწილეები შეირჩნენ აპლიკაციის საფუძველზე.

„აპლიკაცია დაკომპლექტებულია ისეთი სპეციფიკური კითხვებით, რომ ადვილად მივხვდეთ ვისთვის იქნება ჩვენი ბანაკი აუცილებელი, ვის სჭირდება პროექტში მონაწილეობა. გაზაფხულის ბანაკი იყო საცდელი ხასიათის, თუმცა მან იმაზე კარგი შედეგი დადო, ვიდრე მოველოდით. მონაწილეებთან დღემდე აქტიურად გვაქვს კომუნიკაცია“, – აღნიშნავს ბორდის თავმჯდომარე მარიამ მერლანი.

შერჩეული მოსწავლეები ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ თბილისში და ესწრებოდნენ საქართველოს უნივერსიტეტში გამართულ ლექციებს.

„ამ ბანაკის შესახებ ჩემი მეგობრებისგან გავიგე. გამიჩნდა სურვილი, რომ მიმეღო მონაწილეობა. შევავსე კითხვარი და მოვხვდი შერჩეულ მოსწავლეებს შორის. უნივერსიტეტი, ლექტორები, სასტუმრო და მისი პერსონალი, ძალიან კარგი გარემო დამხვდა, რაც მთავარია, ეს პროექტი დიდ გამოცდილებას გვმატებს. გვეხმარება თვითშეგნების ამაღლებასა და ზოგადი განათლების მიღებაში. გართობისა და დასვენებისთვისაც გვრჩებოდა დრო“, – ლუკა ლურსმანაშვილი 15 წლისაა. იგი მესტიაში თეთნულდის პროფესიულ კოლეჯში კომპიუტერულ მეცნიერებებს სწავლობს.

აღსანიშნავია, რომ ბანაკი უფასოა და პროექტი სრულად ფარავს მონაწილეთა ხარჯებს, რაც მოიცავს გადაადგილებას დაბა მესტიიდან თბილისში და უკან. აგრეთვე სასტუმროში განთავსებას და სამჯერად კვებას.

პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს ხუთ საგანში ჩაუტარდათ ლექციები. ესენია პოლიტიკური იდეოლოგიები, ადამიანის უფლებები, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და დებატები.

გარდა ამისა, ჰქონდათ გასვლითი ღონისძიებები, ტელევიზია ფორმულაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც დავების გარჩევას დაესწრნენ და კოკა-კოლას ახალ საწარმოში.

ორივე ბანაკის მსვლელობის განმავლობაში სვან ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება სხვადასხვა დროს შეხვედროდნენ კონსტიტუციონალისტ გიორგი მშვენიერაძეს, პოლიტიკოს ზურა ჯაფარიძეს, ელენე ხოშტარიას და სამართლის სკოლის დირექტორ ანა ხურციძეს.

„საქართველოს განათლების სისტემაში მთავარი პრობლემა არის ის, რომ ბავშვებს არ ასწავლიან კრიტიკულად აზროვნებას და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ჩვენი კლუბის მიზანია მოსწავლეები ჩარჩოებს გარეთ აზროვნებას მივაჩვიოთ და მომავალ თაობაში ჯანსაღი სკეპტიციზმი დავნერგოთ, რათა ყველაფერზე ჰქონდეთ საკუთარი, ინდივიდუალური აზრი. არაფერი მიიღონ გადამოწმების და კითხვების დასმის გარეშე“, – ფრანკლინის კლუბის თანადამფუძნებელი ალექსანდრე ზიბზიბაძე.

როგორც ალექსანდრე აღნიშნავს, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ მოსწავლეებს სათქმელი გამარტივებული, საინტერესო სახით მიაწოდონ. ლექციებზე მოაწყონ სიმულაციები, თამაშები და აქტივობები, რომლის საშუალებითაც ბავშვებს არა რუტინულად, არამედ ახლებურად, გადასცემენ ცოდნას:

„მაგალითად, ერთ-ერთ ლექციაზე მოვაწყვეთ ვაჭრობის ინსცენირება. მოსწავლეები გუნდურად იყვნენ ჩართულები პროცესში და მიიღეს პრაქტიკული გამოცდილება ურთიერთხელსაყრელი გაცვლის შესახებ„.

ერთი კვირის განმავლობაში უცხო გარემოში ყოფნა, ცოდნის დაგროვება, ახალი ადამიანების გაცნობა, მოსწავლეებს ეხმარება გახდნენ მეტად დამოუკიდებლები, თვითმყოფადები და თავდაჯერებულები, რაც სამომავლოდ მათი კარიერული განვითარებისა და ჯანსაღი აზროვნების ჩამოყალიბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ფრანკლინის კლუბს თბილისის მასშტაბით წელიწადში 2000-მდე კურსდამთავრებული ჰყავს და გეგმავს გაფართოებას საქართველოს მასშტაბით. გარდა სვანეთისა, ქუთაისსა და ბათუმშიც დაინერგება მსგავსი პრაქტიკა, რათა უფრო მეტ ახალგაზრდას მიეცეს მსგავს აქტოვობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის საშუალება.

ავტორი ანო ტვილდიანი

,,ბეთქილი“

სვანურ ფოლკლორში უამრავი ლეგენდაა შემორჩენილი, მონადირე ბეთქილის და ნადირობის ქალღმერთ დალის მითის შესახებ. სპექტაკლში სწორედ ეს ლეგენდა ცოცხლდება თანამედროვე ხედვით სხვადასხვა თეატრალური ხერხებით.

სვანეთში, ერთი მონადირის ოჯახში, ვაჟიშვილი ბეთქილი იბადება. დრო თვალსა და ხელშუა გარბის... ბეთქილს თამარი უყვარდება და ნიშნობის რიტუალიც ტარდება, თამარის მამა მშვილდ-ისარს ჩუქნის და ბეთქილი სანადიროდ მოდის. სწორედ ნადირობის დროს გადააწყდება დალის მიერ ნიშანდასმულ ჯიხვებს, რომლებიც მიიტყუებენ ნადირთ ღვთაების, დალის სამფლობელოში... ნადირობის დროს ქარაფებში ჩახერგილი მონადირეები,სწორედ ამ ნიშანდასმულ ჯიხვებად გვევლინებიან სწორედ ეს არის რეჟისორული ჩანაფიქრი, რადგან საუკუნეებს გაუძლო დალის და ბეთქილის მითმა, საბოლოოდ ბეთქილიც ერთ -ერთ ნიშანდასმულ ჯიხვად გვევლინება და ქარაფებში რჩება, როგორც სიმბოლო დალის და ბეთქილის სიყვარულისა.

მოგეხსენებათ მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი სპექტაკლით ,,ბეთქილ" გამგზავრა ლიეტუვის რესპუბლიკაში, სადაც თეატრალური ფესტივალის ფარგლებში 8 ოქტომბერს მესტიასთან დამეგობრებულ ქალაქ ტელშაიში გამართა წარმოდგენა, ხოლო 10 ოქტომბერს ქ. კაუნასში წარსდგა ფოლკლორული კონცერტით.

გასტროლებზე იმყოფებოდნენ: გეგი ფალიანი, რამაზ ფილფანი, დათა ფილფანი, გოგა უდესიანი, დავით შუკვანი, გოდერძი აფციაური, გიორგი ფილფანი, ლილე ფილფანი, რამაზ ფილფანი, გოგიჩა ფალიანი, კესო ხერგიანი, მარიანა იოსელიანი, გიორგი ფილფანი, საბა ფალიანი, ნიკა გუჯეჯიანი.

მივესალმებით მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ სვანეთის სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანას და ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.

თბილისობა 2022

1-2 ოქტომბერს, თბილისში, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სახალხო დღესასწაული ,,თბილისობა" 2022 ჩატარდა.

თბილისობაზე საქართველოს ყველა რეგიონის მიერ წარმოდგენილ იქნა ტრადიციული სამზარეულო..მოეწყო ხელოვნების ნიმუშების გამოფენა- გაყიდვა, შესრულდა ფოლკლორული ცეკვა - სიმღერები

სვანური კუთხის ღონისძიება სვანური საგალობლით ,,ლილე" გახსნა მესტიის ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,რიჰო".

ღია ცის ქვეშ მოწყობილ სვანურ კუთხეში სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეეძინათ სვანური ქუდები, სვანური მარილი, ხის ნაკეთობები, წიგნი აფხაზეთის ომის შესახებ ,,დედას დღიურები" და დაეგემოვნებინათ სვანური სამზარეულოს კერძები- იქვე გამომცხვარი კუბდარი, ფეტვიანი ხაჭაპური და სხვა.

მიმდებარე ტერიტორიაზე პარალელურ რეჟიმში საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ანსამბლების მიერ სრულდებოდა ტრადიციული სიმღერები და ეწყობოდა გამოფენა გაყიდვები.

სახალხო ზეიმს ესწრებოდნენ როგორც ოფიციალური პირები, ასევე რიგითი მოქალაქეები და უცხოელი ტურისტები, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

,,ვარდისფერი ოქტომბერი“

29-30 ოქტომბერს, „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის მესტიის ამბულატორიულ გაერთიანებაში და ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა სარძევე ჯირკვლის კიბოს სკრინინგი და ალერგო-იმუნოლოგიური კვლევები.

კვლევები ჩაატარეს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებმა:

ბაია ბეზარიშვილმა, რომელიც გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალერგო-იმუნოლოგი;

მარინე ზურაბაშვილი - ექიმი ონკოლოგი, მამოლოგი-რადიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ნანა კოკაია - მთავარი ექთანი.

ორი დღის განმავლობაში ალერგოლოგთან და ონკოლოგ-მამოლოგთან კონსულტაცია გაიარა 109 მოქალაქემ. ჩატარდა 179 კვლევა.

აღნიშნული კვლევები ჩატარდა ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის და ამავე ორგანიზაციის წევრების, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების შორენა ცინდელიანისა და მაია ხორგუანის ორგანიზებით. გამოკვლევები ყველა მსურველი ქალბატონისთვის იყო სრულიად უფასო.

თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს სვანური სახლი (მაჩუბი) შეემატება

მალე თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს სვანური სახლი (მაჩუბი) შეემატება.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ პირველად, კიდევ ერთი კუთხის სახლი შეემატება. ეს არის რამდენიმე საუკუნის წინ აშენებული სვანური სახლი.

მაჩუბი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სვანური კოშკის გვერდით განთავსდება.

აღსანიშნავია მაჩუბის მნიშვნელობა სვანურ ყოფიერებაში.

მაჩუბი არის ძველი სვანური სახლის („ქორ„) ქვედა სართული, ოჯახის ზამთრის საცხოვრებელი. მაჩუბის ცენტრში გამართული იყო კერა. კერის მდებარეობა განსაზღვრავდა მაჩუბის გეგმას: კერის წინა მხარე მიმართული იყო შემოსასვლელი კარისაკენ, რომელიც უმთავრესად აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთ კუთხეში იყო მოთავსებული. კერის უკანა მხარე იყო საქალებო, წინა — საკაცებო. მტკიცე წესადიყოდადგენილიკერისგარშემოოჯახისწევრთა დასხდომა სქესისა და ასაკის მიხედვით.

ზამთრობით ოჯახთან ერთად მაჩუბში, სპეციალურად მოწყობილ გომურში, იმყოფებოდა ბაგურ კვებაზე გადაყვანილი საქონელიც. გომური ადამიანთა სამყოფისაგან გამოყოფილი იყო ხის სქელი ტიხარით, რომელიც მაჩუბს 3 ნაწილად ჰყოფდა (საცხოვრებელი, საქონლის სადგომი და თივის დასაყრელი ბაგა). საქონლის სადგომი გომური მოწყობილი იყო ჩრდილოეთ კედლის გასწვრივ ხარებისათვის და დასავლეთით — ძროხებისათვის. ხშირად გომურის თავზე დაშენებული იყო წვრილფეხა პირუტყვის სადგომი. მაჩუბის აღმოსავლეთ კითხეში მიშენებული იყო ფიცრული მარანი, რომელშიც საარყე ჭურჭელს ინახავდნენ. მაჩუბის ყველა რიხარის ფასადი მოჩუქურთმებული იყო ორიგინალური გეომეტრიული, ზოომორფული, ანთროპომორფული სახეებითა და ფიგურებით.

გარკვეულ დღეებში ტიხრებზე ხატავდნენ მაგიურ ფიგურებს, რომლებშიც ცხოველთა გამოსახულებები ჭარბობდა. მაჩუბი იყო საოჯახო კულტის ცენტრიც, სადაც დღეობებსა და უქმე დღეებში რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და ლოცვა-ვედრებას ასრულებდნენ (ქალები კერასთან, მამაკაცები — სარკმელთან). კერა აღმოსავლეთ კედელში გაჭრილ სარკმელთა ერთად საცხოვრებლის წმინდა ადგილად ითვლებოდა.

სვანეთიდან ,კერძოდ ბეჩოდან მაჩუბის დემონტაჟისა და ტრანსპორტირების პროცესში შესაბამისი სპეციალისტები და არქიტექტორები არიან ჩართულნი.

შეგახსენებთ, რომ მუზეუმში ამ დრომდე მხოლოდ სვანური კოშკი იდგა.

***

მიშგუ ლადეღ ისგუ ნაცვად
ლუშნუ ამბარ ესვაი ხესმი
ეჯის მერმეიი მაგ ხალატ
ხოჩა მარა ზეთშალ ხეჰნი.

ლუშნუ ნინ ლი ტებშაალ
სკვეედი
იმგვა თვი ლი, იმგვა
წიმწარ,
ჟი ლუსკურფან თაკვშაალ
ჯვეედი
იმგვა შვაბ ლი, იმგვა
ბერკვლარ.

ლუშნუ ნინემ ჟრი
ი წყალობშ
გვაშს არგავიხ მოორევ
მაარილ,
ეჯი ლიმლატაარს აკლათხი
იმჟი სარამ ლეჭმე ლაროვს.

ჯეჰრი შვანეშ
ლალმაჰიოლს
ნომ ოლთუფედ ჯვინლარე
ნინ.
ლუშნუ ლიმზრი დიდაბ
გვენწმი
ეჩქა დაარმოშ გვეგნი
სგვებინ

დიდაბ ოთხადხ შვანეშ
საყდრარს
ფუსდ მუჰაშს, ჯგრაგს,
თარგლეზერს
ლამარიაშ ნამზური
ლეზრუალ
გვიფშირიოლვ სახუბს
ი გვარს

ტერენტი (ტარასი) ცინდელიანი

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში"

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
Irma_ushba@yahoo. com